შაქრიანი დიაბეტის ტიპი 1 მქონე ბავშვების დედების ცხოვრებისეული გამოცდილებები.

თამთა გაზდელიანი

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო

უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე მაგისტრატურის

აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: სოციოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარიამ დალაქიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2023

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამთა გაზდელიანი

15.06.2023

აბსტრაქტი

ბოლო წლებში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 მატარებელი ბავშვების რიცხვი საგრძნობლად გაიზარდა როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომი ეხება, შაქრიანი დიაბეტის ტიპი 1 (შდტ1) მქონე ბავშვების დედების ცხოვრებისეულ გამოცდილებებს.

კვლევის მიზანს წარმოადგენს, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1_ის მქონე ბავშვების დედების ცხოვრებისული გამოცდილებების შესწავლა. კვლევის ინტერესს წარმაოდგენს დედებს გამოცდიებები დაკავშირებული დიაგნოზის დასმასთან, დიაგნოზით ცხოვრების ყოველდღიურობასთან, პრობლემებსა და სირთულეებთან. კვლევა განხორციელებულია ფენომეოლოგიური დიზაინის გამოყენებით. კვლევის სამიზნე ჯგუფს წარომადგენენ შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 მქონე ბავშვების დედები, რესპოდმეტთა შერჩევა განხორციელდა მიზნობრივი შერჩევის ჰეტეროგენული მეთოდის გამოყენებით.

კვლევაში მონაწილობა მიიღო ექვსმა რესპონდენტმა, ისინი ცხოვრობენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში: თბილისი, ტყიბული, ახალციხე. ერთ-ერთი რესპონდენტი კი, ცხოვრობს გერმანიაში, წასვლის მიზეზი კი შდტ 1 მატარებელი შვილისთვის უკეთესი პირობების შექმნაა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ დედები, რომელთა შვილებსაც უდასტურდებათ შდტ1, ამ დგომარეობის გაანალიზებისთვის სჭირდებათ 1 წელი. დიაგნოზის საწყის ეტაპზე, განიცდიან ყოველდღიურ ემოციურ სტრესს; უარს ამბობენ სოციალიზაციაზე; საკუთარ საჭიროებებზე; სამსახურზე, თუ კი მუშაობენ; სხვა შვილების აღზრდაზე თუ კი ჰყავთ და ცდილობენ, 24/7-ზე დიაბეტის მატარებელი შვილები ყურადღების ცენტრში ჰყავდეთ. დედები მაქსიმალურად ცდილობენ გაამხნევონ შდტ 1 მატარებელი შვილები და გვერდით დაუდგნენ მათ. რაც შეეხება პრობლემებს, რესპონდენტების გამოცდილებით, საქართველოში დიდი პრობლემაა ინფორმაციის ნაკლებობა. სახელმწიფო ჯეროვნად არ ასრულებს გაცემულ პირობებს. სენსორები, რომელიც სახელმწიფომ გასცა, დედების გამოცდილებით, არის არაკოფორტული და ბავშვებს ხელს

უშლის ყოველდღიურ აქტივობაში. აღნიშნული სენსორების გამოსაყენებლად საჭიროა მობიული ტელეფონი და ბავშვები გახდნენ ტელეფონდამოკიდებულები. რესპონდენტების გამოცდილებით, კიდევ ერთი პრობლემა გახლავთ ის რომ, შდტ 1 ბავშვებისთვის სახელმწიფოს მიერ გაცემული ყოველთვიური ფულადი დახმარება და 6 თვეში ერთხელ უფასო სამედიცინო მომსახურება არ არის საკმარისი, დიაბეტის სრულფასოვნად მართვისთვის.

საკვანძო სიტყვები: შაქრიანი დიაბეტი, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1, ცხოვრებისეული გამოცდილება, თვისებრივი კვლევა, ფენომენოლოგია, დედობა.

Abstract

Over the past few years the number of children with diabete type 1 has increased significantly both in the whole world and in Georgia too. Correspondingly, the following paper examines the life experiences of mothers of children with diabete mallitus type 1 (DM1).

The aim of the following research is to examine the life experiences of mothers of children with diabete type one. The thesis examines issues that these mothers have experienced when their children were diagnosed with STD1. The research also aims to examine everyday life of these children, considering difficulties and problems related to their diagnosis. The following research was conducted by using phenomenological design. The target group of the present research is mothers of the children with STD1, the respondents were selected using a heterogeneous method of target sampling.

There were interviewed 6 respondents within the framework of the research who are living in different cities of Georgia: Tbilisi, Tkibuli, Akhaltsikhe. One of the respondents was living in Germany when being interviewed, the reason for her emmigration is to provide her child with better living conditions.

As a result of the research it was found that mothers whose children are diagnosed with STD1 need a year to perceive the idea of having this diagnosis to their children. At an early stage of the diagnosis they have to deal with emotional stress. They refuse to socialize, they deny their own needs and refuse to work. They can not deal with raising other children if they have ones, due to their attempt to keep their children with diabetes in the center of attention for 24/7. These mothers do their best to encourage their children with STD1 children and support them. According to the respondents, regarding all the problems, the vital problem that Georgian mothers face to is the lack of information. Georgia does not keep promises that has made. All the sensors given out by our country are uncomfortable and interfere with these children's daily activities. For using these sensors, one need a mobile phone that these children are getting

addicted to. According to the respondents nother vital problem that has arised is that the monthly finance assistence given by Georgian government and free medical services once in 6 months for children with diabetes mellitus 1 are not enough to fully manage diabetes properly.

Keywords: diabetes mellitus, diabetes mellitus type 1, life experience, qualitative research, phenomenology, moternity.

მადლობა

დიდ მადლობას ვუხდი ჩემს აკადემიურ ხელმძღვანელს, ასისტენტ-პროფესორს მარიამ დალაქიშვილს, გაწეული დახმარებისთვის. კვლევის თითოეულ ეტაპზე მისგან მიღებულმა რჩევებმა და მხარდაჭერამ, საშუალება მომცა კვლევა ბოლომდე მიმეყვანა. ასევე, თითოეულ რესპონდენტს კვლევაში მონაწილეობისთვის. გულითად მადლობას ვუხდი ჩემს კურსელებს კვლევის სხვადასხვა ეტაპზე მათგან მიღებული მხარდაჭერისთვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემ შვილს, დედაჩემს, ჩემს ოჯახსა და მეგობრებს იმისათვის რომ ემოციურ მხარდაჭერას მიწევდნენ ნაშრომზე მუშაობის დროს.